ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2605751

ნომერი: AR1401886

თარიღი : 04.05.2016

გაცემის თარიღი : 20.05.2016

გაცნობის თარიღი : 20.05.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სამგორი , N 3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რეზა ხოსრავი პ/ნ 01591003826
- თბილისი ლილოს შეს. N 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 18.12.2014 წ. №1645274 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 04/05/2016 წ. AR1401886 განაცხადით მომართა რეზა ხოსრავმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 18.12.2014 წ. №1645274 ბრძანებაში

ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 18.12.2014 წ. №1645274 ბრძანებით ქ. თბილისში, სამგორის ქ. #3-ში, შ.პ.ს. ,,დეკუნი"- ს საკუთერებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა სადემონტაჟო გენგეგმაზე მონიშნული არსებული შენობა–ნაგებობების დემონტაჟის პროექტი და გაიცა დემონტაჟის ნებართვა. დემონტაჟის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 19 დეკემბრიდან 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის N882015575324, მომზადების თარიღი: 09/10/2015) თანახმად, ქ. თბილისში, სამგორის ქ. #3-ში მდებარე ობიექტის (საკადასტრო კოდი: 01.17.12.003.106) მესაკუთრეს წარმოადგენს შ.პ.ს. ,,დეკუნი", რომლის დირექტორია რეზა ხოსრავი (1551837544, P21203297).
განსახილველი განაცხადით, მოთხოვნილია დემონტაჟის ნებართვაში ცვლილების განხორციელება, ვინაიდან, მესაკუთრეს არ აქვს შენობა–ნაგებობების სრული დემონტაჟის ინტერესი. განაცხადის განმარტებით ბარათში წარმოდგენილი განმარტებით, 3/1 და 4/2 შენობებს დემონტაჟის ნაცვლად უნდა ჩაუტარდეს რეკონსტრუქცია მიშენებით, შესაბამისად განმცხადებელი ითხოვს, 18.12.2014 წ. №1645274 ბრძანება დემონტაჟის თაობაზე ეხებოდეს მხოლოდ 2/1 და 1/3 შენობებს. აღნიშნულისათვის კი საჭიროა მოხდეს ხსენებული ბრძანების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადება.
განცხადებით წარმოდგენილია ობიექტზე არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები, რომლიდანაც დგინდება, რომ ობიექტზე, სადემონტაჟო სამუშაოები სრულად არ არის ნაწარმოები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
“ლიცენზიებისა და ნებართვებისშესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლში განსაზღვრული საფუძვლების გარდა, შეიძლება იყოს ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.
იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მესაკუთრეს აღარ აქვს სამსახურის 18.12.2014 წ. №1645274 ბრძანების საფუძველზე, შენობა–ნაგებობების სრული დემონტაჟის ინტერესი სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მითითებული აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება დემონტაჟის პროექტის შეთანხმების ნაწილში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და “ლიცენზიებისა დანებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად,
ვბრძანებ:

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 18.12.2014 წ. №1645274 ბრძანება, ნაწილობრივ (3/1 და 4/2 შენობების დემონტაჟის ნაწილში) გამოცხადდეს ძალადაკარგულად.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.